ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 164

"22" მაისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, მთაწმინდის ქუჩა №12-ის მიმდებარედ 4 კვმ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.15.06.001.043) და ქ.თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ 8 კვმ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.14.16.015.292) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს "ყაზტრანსგაზ - თბილისისთვის"(ს/კ №205129617) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ე" ქვეპუნქტისა და 122-ე მე-5 პუნქტის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 20 მაისის №20.04.572 განკარგულებით გათვალისწინებული ქვემოთ აღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისისთვის", (ს/კ №205129617) 2 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე, ზემოხსენებული განკარგულებით განსაზღვრული პირობებით.

ა) ქ. თბილისში, მთაწმინდის ქუჩა №12-ის მიმდებარედ 4 კვმ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.15.06.001.043);

ბ) ქ. თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩაზე 8 კვმ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.14.16.015.292);

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი